



შაბათი,
თებერვლის 1.
(იანვარს 18).
1919 წელი.
№ 24.
ფასი 50 კაპ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
ყოველ-ღობის
გაზეთი
კლდე
გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქტორობით
ფანჯარა ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი,
სადაც ნომერი 60 კ. განცხადებამთა ფასი მარტოა.
სელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10
საათიდან მ. საათამდე.
კონტრა ქართულ ქაბახლასთა, ხახხდის ქ. 24
თელავონი № 18-31.

წერილები

მ. იშხნელი. ზედი ჭილაკის არჩევნებია.
მ. ქარუმიძის სიტყვა პარლამენტში მიწის
საკითხზე (დასასრული).

ცნობები

საქართველოს პარლამენტის მუშაობა შეწყდა
დამფუძნებელ კრების არჩევნების გამო
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონ-
სტიტუციის შესაბამისად (პარლამენტის შეწყვე-
ტი).

საქართველოს არჩევნებისათვის

პირადობის ბარათები ვისაც არ მოსვლია, დღეს თვითონ უნდა მივი-
დეს საარჩევნო ბიუროებში (სადაც ჩაწერა ხდებოდა) და თვითონ უნ-
და მიიღოს ბარათი და კონვერტიც, თორემ ისე ხმას დაიკარგავს.
მამულიშვილნო! ბევრს თქვენგანს ჯანგებ არ მისვლია ბარათი და
კონვერტი—მიდით და მოითხოვეთ! გამოიჩინეთ სახელმწიფოებრივი
სიმწიფე!

საქართველოს ეროვნული პარტიის

საარჩევნო პლატფორმა.

მამულიშვილნო!

ეროვნული პარტიის დამფუძნებელი „საქართველო ჯერ ქართველებსათვის“
საქართველომ უნდა მოიპოვოს თავისი ისტორიული საზღვრები.

ეროვნული პარტია იცავს მტკიცედ
ქვეყნის საკუთრების ხელუხლებ-
ლობას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ
მოსაზრებით იქნას მონაპოვნი ტერიტორიისა და
საქეულნი ტერიტორიის პრივილეგიები და ქარ-
თველ ვაჭარ-მრეწველს საშუალო-
ბა მიეცეს წესიერად აწარმოვოს თავისი
საქმე.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მი-
წის საკითხი გარდაწყდეს სახელმწიფო-
ვო, და არც ყარადღობის წესით.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ
მამულიშვილის ჩამორთმევა მოხდეს
შეზღუდულ ისეთ შემთხვევაში, როცა ეს სა-
ჭიროა სახელმწიფო მოსახრებით (ქართველ
გლეხობის დასახლებებისათვის).

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ
დაუყონებლივ მოხდეს სრული ნაციონ-
ალიზაცია ყველა დაწესებულებათა
(თავდაპირველად თფილისის ქალაქის
თვითმართველობისა) და თანამდებობანი,
რომელიც უცხოელებს აქვთ დაკავებული,
გადაეცეს ქართველ მოხელეებს.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნე-
ნორმის მიწის მფლობელობისა გადი-
ლებულ იქნას ყოველგან იდელობრივი
პირობების მიხედვით

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ სა-
ქართველოს დასაცავად მოეწყოს ერთი,
მთლიანი სამხედრო ძალა—მუდმივ რე-
გულიარული ჯარი; ყოველივე
სხვა გვარი პარტიული რაზმები და გვარ-
დია უნდა გაუქმდეს.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ჩა-
შორთვეულ მიწაში მამულის პატრონს
მიეცეს მისი ფასი.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნე-
ბადართული იქნას მიწების კერძოდ
ყიდვა-გაყიდვა (ქართველებისთვის)

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ სა-
ქართველოს დასაცავად მოეწყოს ერთი,
მთლიანი სამხედრო ძალა—მუდმივ რე-
გულიარული ჯარი; ყოველივე
სხვა გვარი პარტიული რაზმები და გვარ-
დია უნდა გაუქმდეს.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნე-
ბადართული იქნას მიწების კერძოდ
ყიდვა-გაყიდვა (ქართველებისთვის)

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც ერთ სოციალის-
ტურ პარტიას: სოციალ-დემოკრატები (შენშევიკები), ფედერალისტები, რევოლიუ-
ციონერები ყველა ბოლშევიკური ჯურის ხალხი და სულ სხვისი საკუთრების წარ-
თმევაზე ფიქრობენ; ჯერ სოფელს მოარჩებინ, მერე ქალაქის მესაკუთრებს მისდგე-
ბიან!

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც № 2-ს „ეროვნულ-
დემოკრატიკის“ (გაზეთ „საქართველოს“) არც რადიკალ-დემოკრა-
ტიკის და არც უპარტიო დამოუკიდებლებს ესენი ყველა შენშევიკების მი-
ჩინაობა პარტიებია, ნამდვილი ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამა მათ არა სწამთ
და ამიტომაც ხელი მოაწერეს ნ. ხომერკის მიწის კანონებს.

მამულიშვილნო. მხოლოდ, „საქართველოს ეროვნული პარტია“, დაცავს მტკი-
ულ, ისე როგორც „კლდე“ სახელმწიფოებრივ პროგრამას.

მოითხოვთ ჩვენი ბიულეტენი.

№ 8

„საქართველოს ეროვნულ პარტიის“ კანდიდატებია:
დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

- ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგისძე; პარლამენტის წევრი, გაზეთ „კლდის“ რედაქტორი.
- ქარუმიძე შალვა ილიქსანდრეს; ძე პარლამენტის წევრი; განათლების კომის. წევრი.
- ვაჩნაძე დავით ელაღიშვილისძე; პარლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის წევრი.
- გაბაშვილი რევაზ (ლეონიდე) ილიქსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი, განათ. კომისიის წევრი.
- მაჩაბელი მიხეილ ვახტანგისძე; პარლამენტის წევრი, აგრარულ კომისიის წევრი.
- ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე; ექიმი, პარლამენტის ყოფ. წევრი.
- ცაგარელი ალექსანდრე ანტონის ძე; პროფესორი.
- სარაჯიშვილი ალექსანდრე თედორეს ძე; მრეწველი.
- გაბაშვილი ნიკოლოზ სოლომონის ძე; ინჟინერი-კომპოზისი, კომერსანტი.
- ორბელიანი გიორგი ილიას ძე; გენერალი.
- ჯანდიერი ნიკოლოზ ილიქსანდრეს ძე; ექიმი.
- ელიაშვილი ივანე სპირიდონის ძე; ექიმი.
- კახანელი (კანტურაია) კონსტანტინე გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
- ეკალაძე ია. (კანცაძე) იაკობ თაშის ძე; ლიტერატორი.
- ლოლობერიძე დავით სიმონის ძე; კომერსანტი.
- კელენჯერიძე დავით ბესარიონის ძე;
- ციციშვილი ივანე გიორგის ძე; მიწის მესაკუთრეთა „კავშირის“ წევრი.
- იშხნელი მიხეილ ნიკოლოზის ძე; ექიმი.
- ლუღუშაური ბართლომე; მღვდელი.
- ივანიცკი ტარასი; ლეკონი.
- მამრამე გიორგი გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
- ხიდაშონ-ერისთავი ვალერიან; მხატვარი.
- ნიჟარაძე რაფაელ; პედაგოგი.
- კეკელიძე ლალა სპირიდონის ძე; სტუდენტი.
- ქახრაშვილი კსენოფონ ნიკოლოზის ძე; მეურნე.

თფილისის ქალაქის საბჭოს არჩევნებში

- ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორ-
გის ძე; პარლამენტის წევრი; გაზეთ
„კლდის“ რედაქტორი.
- ვაჩნაძე დავით ელაღიშვილისძე; პარ-
ლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის
წევრი.
- ქარუმიძე შალვა ილიქსანდრეს ძე;
პარლამენტის წევრი; განათლების კომი-
სიის წევრი.
- გაბაშვილი რევაზ (ლეონიდე) ილი-
ქსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; განათ.
კომისიის წევრი.
- მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე;
პარლამენტის წევრი; აგრარულ კომისიის
წევრი.
- ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე;
პარლამენტის ყოფ. წევრი; ექიმი.
- სარაჯიშვილი ალექსანდრე თედო-
რეს ძე; მრეწველი.
- გაბაშვილი ნიკოლოზ სოლომონის
ძე; ინჟინერი-კომპოზისი; კომერსანტი.
- ციციშვილი ივანე გიორგის ძე;
„მიწის მესაკუთრეთა კავშირის“ გამგე-
ბის წევრი.
- იშხნელი მიხეილ ნიკოლოზის ძე;
ექიმი.
- მამრამე გიორგი გრიგოლის ძე;
ლიტერატორი.
- მგალობლიშვილი ივანე პატარს
ძე; ბანკის დამფუძნებელი.
- ერისთავი რევაზ იასონის ძე; მე-
ურნე.
- მაჩაბელი სოლომონ ვახტანგის ძე;
მეურნე.
- ჩოლოყაშვილი სოლომონ მახე-
ლის ძე; აგრონომი.
- ცაგარელი ივანე ანტონის ძე;
სახლის პატრონი.
- კალატაშვილი კორტე ვასილის
ძე; მეურნე.
- ციციშვილი ალექსანდრე დავითის
ძე; მეურნე.
- უავრიშვილი ნიკოლოზ იასონის
ძე; აგრონომი.
- იმნაიშვილი გერასიმე; პედაგოგი.
- ნიჟარაძე რაფაელ; პედაგოგი.
- კეკელიძე ლალა სპირიდონის ძე;
- სონლუღაშვილი იროდიონ თაშის
ძე; მეურნე.

განსჯაჟონის ქალაქის საბჭოს არჩევნებში

„საქართველოს ეროვნულ პარტიის“ სია № 6

- კელენჯერიძე ბესარიონ ანტონის
ძე; პედაგოგი.
- დამბაშიძე დარისპან ზაილის ძე;
კომერსანტი-მეურნე.
- იშხნელი (კელენჯერიძისა) ნინო
ბესარიონის ასული; ზესტაფონის ქალ-
ვათა გინაზიების მსწავლებელი.
- დემანოხიძე ნიკოლოზ ფარსადანის
ძე; მეურნე.
- დამბაშიძე დავით; კომერსანტი-მე-
ურნე.
- ბანძელაძე პეტრე იხილარეს ძე;
ბუღალტერი.



საქართველოს ეროვნული პარტია.
დღეს, შაბათს, საღამოს 5 საათზე ქართულ
გლუბში შესდგება
საარჩევნო მიტინგი

ყოველი წევრი და თანამოაზრე ჩვენი პარტი-
 ისა ვადგებულება მოვიდეს ამ ჭრებასე და მი-
 იღოს მონაწილეობა საარჩევნო საორგანიზა-
 ციო საქმეებში; უნდა მოხდეს მობილიზაცია

უველა ჩვენი ძალები

მიტინგზე მომხსენებელნი არიან:

ზარდაშენ ტოს წევრნი:

ვეშაპელი გრიგოლ, ქარუშიძე შალვა,
ვაჩნაძე დავით, გაბაშვილი რევაზ.

კლდის ფონდისათვის.

პვირას, მთავარპალს

სახლი „მურ ნუგეში“ განმარტება

კონცერტი-კაბარე.

მონაწილეობას მიიღებენ: **ნინო ფაღვენიშვილისა—მადლობა**, მხანი
 ბ. დ. მ. შადალაშვილისა, ბანი ლეშაძე, ბანი მუშაბერიძე და სხვ. ლექსებს
 და სიტყვებს წაიკითხავენ ჩვენი ახალგაზრდა მგონებელი და არტისტები. დაუკრავს
 ტრაი ბ. ნ. ბუშის ხელმძღვანელობით. დღისიქმე ქართული სსიპის და ვახუშტის
 ღვინით. სახლი ღია იქნება ღამის სხმ საათამდე.

ხვალ საპალაქო არჩევნებში.

საქართველოს დღეა ქალაქ თფილისში
 ცხოვრებში, ნამდვილმა გულწრფელმა
 პარტიოტმა ქართველმა, ხვალ ვადაპრით
 უნდა სთქვას თუ ვის აბარებს სატახტო
 ქალაქს.

ჩვენ ვიცით, რომ მრავალი სხვადასხვა
 ჯურის პარტიის თუ ჯგუფის საკანდიდი-
 ტო სივრცე გამოფენილი და ყველა თა-
 ვისკენ მოუწოდებს თფილისის მოქალაქეს.

ჩვენ ვიცით, რომ საქალაქო არჩევნებ-
 ში საქართველოს სოხურნი და მწკრივი
 პარტია ვითომ ბოიკოტს აცხადებს და
 აშავე დროს საქართველოს ცენტრში გა-
 მდის რუსეთის სოციალ დემოკრატიუ-
 ლი (?) პარტია მცირე ნაწილით, რომელ
 სიამიც მრავალი არსება და კარგებობა
 კანდიდატებთან დასახელებულნი.

ჩვენ გვგონია, რომ საქართველოს სა-
 ხელმწიფოში რუსული სოც. დემოკრატი-
 ული და სოხურნი სოც. დემოკრატიული
 პარტია არსებობდეს მაგრამ ის კი ველარ
 გაფეგვი ერთი სახელმწიფოს პარტია შე-
 ორე სახელმწიფოში როგორ იარსებებს და
 როგორ მიიღებს არჩევნებში აბილიად
 აქტიურ მონაწილეობას? ცხადია რუსები
 და უფრო სომხები, აქც თაღლითობენ
 და ჩვენ გვიკვირს რატომ არ ვააუქმეს ეს
 მეოთხე ნომერი—რუსეთის (?) სოციალ-
 დემოკრატიულ პარტიის სია?

წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ
 მიუხედავად „ბოიკოტისა“ სომხის 99%
 ამომრჩეველი ამ 4 ნომრიდან მიიღებენ,
 ვამბობთ, მშ პროც. ვინაიდან ამჟამათ
 შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცენტი
 იქნება სომხებში და მწკრივი.

არჩევნების შედეგი გვიჩვენებს როგორ
 რი ძლიერი გამოადგება ამ ნორმის ხალ-
 ხი. თუ დაწესებულებები მართლა მონა-
 წილეობას არ მიიღებენ არჩევნებში მაშინ
 მე-4-ე ნომრის ხმას მიიქცევენ თითქმის
 დიდიხაზით. ეს აუცილებლად ასე უნდა
 მოხდეს თუ წინააღმდეგი მივიღეთ, სომ-
 ხებში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ
 პარტიას ჩაუჩხრიკა კენჭები, მაშინ ამ-
 გვარი სომხები რუსეთში უნდა გადავიდნენ.

ლოთ, იმათ მტრნი „ბოლშევიკები“ მო-
 ვლენ?

ყველაზე მეტი შანსები ქალაქის არჩე-
 ნებში, ბევრადვე უი იცის, (მიხვედ ნო-
 მებს, ამ გაბატონებულ პარტიას აქვს.

ჩვენ მოვალეთა ვსთვლით თავმჯობაგო-
 ნით იმ ბრძა მიმდევრებს, დემოკრატი-
 სის რომ ამ პარტიას უფსკრულსკენ მიჰყავს
 ქართველი ხალხი, მშორათ ვამბობთ: ყვე-
 ლა ქართული პარტიების სურვილია სა-
 ქართველოს სახელმწიფოს სუვერენობის
 განმტკიცება, მაგრამ განა პარტო სურ-
 ვილებია საქმეა?

ის ჯადოსნური კოსმოპოლიტობა, ინ-
 ტერნაციონალიზმი და პროლეტარების
 დამკვიდრება, რომელიც მათ თავში მაჯ-
 ლაჯუნარებზე ბუღობს, ხელფებს უბორ-
 კავს, სახელმწიფოს აშენებს უშლის, ამა-
 ქარხნის მუშებს, პროლეტარებს როგორ
 აწყვიტებენ და რამდენჯერაც არ უნდა
 ითხოვონ ჯამაგირების მომატება უარს
 როგორ ეტყვიან? ეს გარემოება კი იმას
 ნიშნავს, რომ მუშის ხელფასის საზღაპროთ
 აწევს მის მცირე და მუშავებულ საქონელს
 მიუწოდებელ ფასებთან ბღის და აი როდეს
 საც ქალაქი სოფელს ასეთ ძვირ საქო-
 ნელს აწვდის, სოფელიც მას საზაგერს
 უბღის და პურს ამძვირებს. პურის სემ-
 ძვირე კი უპირველეს ყოვლისა ინტელი-
 გენციას საშუალო კლას ხვდება და წელ-
 ში სწყდება. იგი მშათაა ქუჩაში გამოვი-
 დეს იკვირს: „წარაულ, მიშველეთ გამ-
 ცარცვეს უბოძო ფულის ნაშენებს მართ-
 შევენ პურში, და ყველაფერ სანოვანში“.

ასეთ პირობებში ცხოვრებას დიხანს
 ველარ შესძლებს ჩვენი ახალგაზრდა სა-
 ხელმწიფო. ქალაქის ფულის ანეკრა-
 გონით ბეჭდვა უფსკრულსაკენ მიჰყავს
 სახელმწიფოს, დროა ეს შეიგნოს ხალხმა
 და სხელმწიფოს სათავეში ისინი ჩაუყე-
 ნოს ვინც დღიდან მათი პარტიის დაარ-
 სებისა ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებს
 შეუდრეკლათ შინ თუ გარეთ ასეთი პარ-
 ტია ეროვნული პარტია, ზოგან პროლე-
 ტიაში კი გაიგებს, რომ ჩვენ ეროვნულ
 დემოკრატიებს გამოვეყვით რადგან ეს
 უკანასკნელნი მერყეობენ და მწიხობენ.
 ხან აქეთ არიან და ხან იქით ხან არა

სოციალისტები არიან და ხან სოც. დე-
 მოკრატიებს უგალობენ და ქებათა ქებას
 ასხამენ. ის ვერ შეიტყეს ბევრმა თბილი-
 სში მცხოვრებლებმა და ჰგონიათ
 ყველა ერთათა ვართ, ერთად ვმუშაობთ.
 ამიტომ დღეს ამომრჩეველი შეცდომაში
 არ უნდა შევიდეს: მან კარგათ უნდა გა-
 არჩიოს ორი და რვა ნომერი. ყოველი
 ქართველი სპეტაკი პარტიოტი რომელიც
 წაიკითხავს ჩვენი პარტიის ლოზუნგს, ის
 უმტველათ 8 ნომერს მისცემს თავის ხმას
 და ამით როდენადმე მოიხდის ვალს სა-
 შობლოს წინაშე. მამ დაუბარებლივ მო-
 ლი და მოიყვან სხვებიც საარჩევნო ყუთ-
 თან ამომრჩეველო და შეეცით ხმა იმათ
 ვინც უპირველეს ყოვლისა ქართველის
 ინტერესებს იცავს. ეს არის 8 ნომებერი.

შიფის საპითონი.

მ. ძარუშიძის სიტყვა
პარლამენტში.

არამც თუ სხვადასხვა კუთხე განიჩევა
 მეურნეობით ერთი ერთმანეთისაგან, არა-
 მეთ სოფელი სოფლისაგან, ასეთი სხვადა-
 სხვაობა ძნელი მოსაძებნია სხვა ქვეყანაში.
 თქვენ კი ბატონებო ეს სხვადასხვაობა ერთ
 კალაპოტში ჩაყავით. სამტრედიის კლუ-
 ბნიკის ან ყურულ ლომის და ტრიფონა-
 დლელურის ან ჭიჭიყის თამბაქოს მეუ-
 რნეობას ერთი და იგივე ნორმა მიუჩი-
 ნეთ. მართლა თქვენისთანა განსაკუთრე-
 ბითი მოწყობილობის ტენი უნდა ჰქონდეს
 ილამიანს, რომ ეს ზაიდინოს ანგარიში არ
 გაუწიეთ არც ილდილობრივ პირობებს ხა-
 სიათს. სად მოხდა რა ეს?

და თუ „ლომისა“ და „კლუბნიკისა“
 მეურნე ვერაფერს გაიგებს და ვერაფრით
 იგარძნობს ამ რეფორმას, რადგან მეტს მი-
 წას შას არაგინ მისცემს. ვინაიდან არა-
 გაქეთ და არც კლუბნიკის კულტურას
 სჭირია იგი, საზაგეროთ როგორ შეი-
 ზულდავს თავის სამეურნეო ინიციატივას,
 უნარს და ცოდნას ან ქართლელი მეზღე,
 ან მეზიდაბუნე, ან კახელი მეზერე და მე-
 თამბაქოე და ან რა სარგებლობას მოუ-
 ტანს სახელმწიფოს ასეთი დახშვა ეს თქვენ-
 თენ მოგვინდია.

დღეს, როდესაც ჩამოვმორდით უკან
 ჩამორჩენილ რუსეთს თავისი პრიმიტიული
 მოთხოვნისგან და დაუახლოვდით თანა-
 მედროვე ცოდნისა და ტენიკის გახურე-
 ბულ ქურას ევროპის ქვეყნის და თანაც
 წარმოუდგენელათ ისარდა ჩვენი საკუთა-
 რი მოთხოვნისგან განა შეიძლება ასე-
 თი ჩაკვლა ეკონომიურ ცხოვრების საფე-
 ძელისა?

თუ ასეთ ამბებს უქადის თქვენი კანონ-
 პროექტა დაბალ საფეხურის მეურნეობის,
 თუ ასეთი გარდაუდელი კედელი აუყუდ
 წინ განვითარებისა და განახლების ზაზღედ
 მას, მაღალი კულტურა ხომ ძირიანათ მო-
 სპო ამ კანონპროექტმა. რქ, საცა ან ისეთი
 მევენახეობა იყო, ან ისეთი მეზღეობა,
 მშუსრავი ცელით გაიარა ამ თქვენმა ნო-
 რმამ.

მისი ცხოვრებაში გატარება ხომ პირდაპირ
 უმეტეს შემთხვევაში, ბარბაროსული იყო,
 (სოციალ-დემოკრატიები ადგილიდამ—არ
 არის მართალი). მე ვამტკიცებ, რომ მართა-
 ლი გახლავთ და საყოველთაოთ მართალი,
 მე ვამტკიცებ ამ ტრიბუნადამ, რომ ყველ-
 გან, უუღმძღივ, მოშალა მეურნეობა, მა-
 გალითები გნებავთ, ისმინეთ. აი აქვე ქა-
 ლაქილამ რვა ვერსზე—ციციშვილის მიერ
 ბარონ ნიკოლაისაგან წვითა და დაგვით
 შექენილი მამული, გავერანდა არამც თუ
 საუკეთესო ბალი, არამედ საუკეთესო
 ფერმა. ვინაიდან კომისიამ დაუტოვა
 მხოლოდ ნორმა და ამ ნორმაზე კი ფერ-
 მისათვის მართო საქირო შენობები აღ-
 მოჩნდა აშენებული, დაირღვა ერთი საუ-
 კეთესო ევროპული ფერმა და დიდი მე-
 ურნეობა, მხოლოდ სამს ღვინობისთვის

დავე ბოთანიში და შეიქმნა
 ჩამოარყვით ტყე და მხოლოდით რომ
 დღეს წიკრი აღარ ვხედავთ. თქვენ
 ძირში და მამ იციოთ რა ხასიათის ზომებს
 იღებს იგივე ევროპის დემოკრატია, რო-
 გორ არ ერიდება დიდს ხარჯებსაც კი,
 რომ ქალაქებთან ტყე იქონიოს.

აქვე თფილისთან ბანი 6, ყვეროშვი-
 ლის ევროპული მოწყობილი ფერმა,
 საგანგებოთ შერჩეული ჯიში საქონლისა
 და დინამიტითა და სასუქით გაკეთებული
 მამული? რა მზრუნველობა გამოიჩინეთ,
 რომ გადაგვჩინათ ეს მამული და ყვერო-
 შვილისთვის არა საქართველოს ხაზინის-
 თვის მიანტ შეგვენახათ ეს დიდი წყარო
 შემოსავლისა, კულტურისა და ცოდნისა
 ბორჩალოს მარზაში უმრავლესობა ქველის
 და ქალაქის ქარხნებისა ჩვენმა ფაშავემ
 ბეწუაიშვილებმა და სხვებმა ჩაიგდეს
 ხელში? რა უყო თქვენმა დეკრეტმა?—
 ალბათ მოგვსენებათ, საცა დიდი მეურ-
 ნეობა იყო, ძვირფასი სახელმწიფოებრი-
 ვის თვალსაზრისით გავერანდა. კაცი იმე-
 ლებული იყო იეროია ან მირანი, ან ეე-
 ნანი, ან სახლი და ალბათ თქვენ თუ
 რით მხოლოდ რა გამოსადგავია მარანი
 უვენახოთ ან თავლები უსაძოვროთ? კო-
 მისიათა მოქმედება ბევრგან რაღაცა მუ-
 რისმივით იყო საცეს, მშორად სახლში
 მიმავალ გზებს უქრიდენ, როგორც ეს
 უყვეს მაგ. ივანე მგალობლიშვილს. მში-
 რად ცენტრალური მთავრობის განკარგუ-
 ლება და რეზოლუცია არა სრულდება-
 და და ყოველი კომისია თავისებურად იქ-
 ცეოდა; კანონი კი არა სრული თფიონგ-
 ბობა ვახლდათ.

რა მივიღეთ დასასრულს? სრული განა-
 დგურება იმ მეურნეობისა, რომელმაც ასე-
 თი სამსახური გაუწია ჩვენს წარსულს და
 რომელიც ერთად ერთი იმედი იყო მო-
 მავლისა.

რას აძლევთ იმის მაგიერ ჩვენ მეურნე-
 ობას? არაფერს, გარდა შვიდ დესტეიან
 ნორმით წოდებულ გალიის, საც ვინდათ
 გამოანწყვილოთ ქართველი ერის სამეუ-
 რნეო შემოქმედება და ენერჯია. განა ამ
 გზით ქვეყანას ააშენებთ?

რად შემოიღეთ შეიდი და არა სამი ან
 ათი დესტეიანა ნორმა? მეურნეობის რო-
 მელ მოთხოვნისგან შეუფერეთ იგი? ან
 რომელი კუთხის სახომი გქონდათ საბე-
 ში? ეს ხომ ისეთი კითხვები გახლავთ, რო-
 მლებიც ვაღდებულნი ვართ წამოვიყენოთ
 და რომელზედაც ამათ ველით დასახსნს.
 თქვენ არც კი შეუწებებულხართ გვეფიკათ
 ამბაველ.

აბა, სად გახლავთ ის შთავარი დღეს
 ახრი, რომელიც ჰქონია ყველგან და ყო-
 ველთვის აგარარულ რეფორმას?

თქვენ ეს შთავარი მიხანი გასოვლებია
 და გაძლიერება ჩვენი მეურნეობისა—არა-
 თაც არ მოგვსლიათ, თქვენ თავში გიტ-
 რილგლდათ რეველოუციონური მოვალეო-
 ბა და სურვილი, როგორც ბრძანებთ და-
 ეჩინებით, „ბატონკომისის ნაშენის აღმო-
 თებრისა“.

ასეთ ნაშთით-თქვენ ლოლის სისტემამ მი-
 გაჩნათ.

მაგრამ, ვაი რომ ამ გზით ამ მიხანსაც
 ვერ მიადევით! შე შევით მოგახსენეთ,
 რომ ლოლის სისტემას დაწყობილი სამე-
 ურნეო პროგრესი ძირიან ფესვიანათი
 სთხრიდა.

ახალი მეურნეობა, რომელიც გაჩნდა
 ჩვენში ვერ ურიგდება ზედმეტ მამულს,
 იჯარით ან ლალით გაყეშულს.
 იგი, ზედმეტი პარტია ახალი მეურნე-
 სათვის და ხელიდამ სრულიად ადგილად
 უშვებს მას. ამ მამულს იძენს ის, ვინც
 თითონ აწყობს საკუთარს მეურნეობას.
 ამგვარად ისობა ღალა, თქვენ სამინის-
 ტროში დეკრეტის გატარების შემდეგ რომ
 მასალა დაგროვებთ—გაიკანით ეს მასალა
 და იქ ამოიკითხავთ ამ სიტყვების სიმარ-
 თლეს, თქვენ ეს პროცესი მეურნეობის
 განვითარებისა, გავეროპიელობის შეაჩ-
 ვებთ.



რეთ და ამით შეაჩერეთ ის ძალა, რომელიც თავის განვითარებით მოგაშორებდათ ამ ბატონყმობის წაშლის...

სამაგიეროდ თქვენ იმ ამ თქვენი კანონპროექტით ისეთს წესებს ამყარებთ რომელიც უმადლოდით ღალას დააწესებს მამულზე. და აი რა გზით. დღეს მიწაზე პრეტენზიას და დავას აცხადებს ყველას, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონდა სოფელთან...

დღევანდელი პურის ზღაპრული სიძვირე და შემთხვევითი კარგი მოსავალი დიდით მიზიდულ ხელსაყრელთა ხდის ასეთს საქმიანობას, მაგრამ ხელო, როდესაც პურის ფასი დაეცემა, მიწის ასეთი ჯურის ხელში ჩაგდება, ხომ დანებებს თავს ასეთს საქმიანობის, აიღებს ხელს მიწის დამუშავებაზე...

დროის მესაკუთრე გასცეს თავის მიწას ღარიბთ. მსურველი, რომელიც აიღებს მიწას ღალით, ძალიან ბევრი იქნება სოფლად, რადგან დღესაც ნამდვილი საშუალო და მსხვილი მხენელ მთესველი საშინელს მიწის სიმშვილს განიცდის. ამ უკანასკნელთ თავის საკუთრებით ნორმის წედ-მეტი ხომ ჩამოერთვით, ხელიდამ წაუვიდათ ის მამულები, რომელსაც იგი დიდით ხნავდენ გუშინდელი შემამულეთაგან...

ამ თქვენი კანონპროექტის აუცილებელი შედეგი იქნება მოგახსენებთ და გაგვსაჯოს მომავალმა ვინ სცდება ჩვენში!

აი, ბატონებო, ესეც ერთი მხარე იმ შერსაქტებისა, რომელიც შეაქვს თქვენ კანონპროექტს ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში.

თქვენ კიდევ ერთ მხარეზე უფიქრობთ. სახემწიფო, ფინანსების აღდგენა თურმე ვნებათ ამ გზით, თქვენ, რასაკვირველია შეგიძლიათ ხელ მთელი საქართველო ტორგით გაყიდოთ და ამით კარგაბლომათ ზონებს მოუყაროთ თავი ჩვენ ცარიელ ხანაში, მაგრამ ძალიან ვეჭვობთ რომ ეს გზა მოსაწონი გზა იყოს. თქვენ უნდა მიიღოთ ესეთი ზომები რომელიც მოქმედებს მულდის, მკვიდრს და შეუწყვეტელს შემოსავალს; თქვენ ამ შემთხვევაში ისევე სჯით, როგორც ამ რამდენიმე დღის წინ თქვენს კაბინეტში, ბ-ნო მინისტრო, როდესაც კინახელით მგ და ფშავი მწყვეტები თურმანაული და იანვარაშვილი. თქვენ, ბ-ნო მინისტრო, იმ მამულზედასახელდ. ტარიანზე, (შირაქში) სადაც წინეთ 120,000 სული ცხვარი სძოვდა და რუსის მთავრობა 8000 მანეთს ახდენდებდა იჯარას— თქვენ დღეს დაადეთ 163,000 მანეთი, როდესაც მხოლოდ 30,000 სული სძოვს! მეცხვარის შენიშვნაზე, რომ ისინი დიდებულნიან ასეთი იჯარის გადახდით, თქვენ

შენიშნეთ, რომ თუ მათ არ უნდათ, თქვენ თათრობა გაათ მსურველი და ისინი გადინდნანო. რასაკვირველია ამ ფულებს ან ერთი გადინდის ან მეორე და თქვენ სამინისტროს შემოსავალში ეს ფული ჩაიწერება, მაგრამ მოგებს თუ არა ამით ჩვენი ეკონომიკა საბოლოო—ეს ყველაფერს ცხადი უნდა იყოს!

თქვენ, ბ-ნო, თუ აქამდის ცხოვრებას დაშორებული იყავით და არ იცოდით თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ჩვენ მეცხვარეობას ჩვენ საერთო დოვლეთში დღეს მაინც, როცა მინისტრები გახდით და განაგებთ ქვეყნის ბედს, უნდა გავგეგოთ ეს და უნდა გავგეგოთ ისიც, რომ სხვაგან სახელმწიფო ძალა ხშირად მილიარდებსა ხარჯავს და ხელს უწყობს ასეთი მეურნეობას, რათა მომავალში მუდმივი და იმედინი წყარო შემოსავლისა გაიჩინოს, თქვენ კი დღეს ისეთს ქანქარის მოღვევის ფინანსიურ პოლიტიკას აწარმოებთ, რომ დღიურ შემოსავალს მთლათ სწირავთ მთელს დიდს დარგს მეურნეობისას!

თქვენ არ გაფიქრებთ ის, თუ როგორ დაქვეითდა იგივე მეცხვარეობა. წინეთ თქვენი დეკრეტების გამოცემამდე, მალაროს კარისა და შუაფხოს საზოგადოების საშუალო მეცხვარეს ჰყავდა 700—800 სული ცხვარი; დღეს ამ რიცხვმა დაიწია 800—100 სულამდე. ტარიანზე, სადაც იმ დროს როდესაც ჩვენი ცხვრის მესამედი მაინც ყიზილარში მიდიოდა, საზამთროთ სძოვდა 120000 სული, დღეს კი, როდესაც იგი აქ მოგროვდა, სძოვს მხოლოდ—30000. დანარჩენი გაწყდა, ეს საერთო პროპორცია გახლავთ ყველგან. (შემდეგი იქნება).

საქართველოს ამბები.

მეკრთამეობა ფოთის ნავთხადავურში.
ფოთისიდან ჩამოსულმა საგანგებო რევიზიამ აღმოაჩინა ნავთხადავურის დაწესებულებებში მეკრთამეობა და სხვა უწყსობები. (ს. დ. ს.).

მთიულში მამულიშვილი.
გუშინ ჩვენს რედაქციას ეწვია სამი ფშავი მოსუ, პავლე და ივანე ნადირაშვილები. ფშავებში ხმა ასულა საქართველოს ახლა ახალციხიდან შემოსვია მტერი და ორი დღის დაბრუნებულნი ოჯახში, შულავრის გმირები (სამივე იღებდენ მონაწილეობას სომხებთან ომში) კვლავ შელესილან იარაღში და მოვიდენ სამშობლოს დასაცავათ.

საქართველოს დელეგაციის გაჩერება გზაში.
ხმები დადის, რომ საქართველოს, სომხეთის; ამერბეიჯანის და მთიულთა დელეგატები პრინცი კუნძულზე (მარმარილოს ზღვაზე) გაჩერდა იქ მოწყვეულ რუსეთის თათბირის გამო.

სამხედრო წესები ახალციხეში.
ახალციხის მარაში გენერალ გუბერნატორად გენ. მაზნიაშვილი დანიშნეს, რომელმაც მარაში სამხედრო წესები გამოაცხადა.

ძვევის ხიდის შეკეთება.
ძვევის ხიდის შეკეთება დასრულდა. სულ დაიხარჯა ამაზე 100,000 მან. ხიდის შეკეთებას ხელმძღვანელობდნენ ინჟ. სარაჯიშვილი და ლუკონოვი. იანვრის 28 განახლდა წესიერი მოძრაობა.

ბათუმის სსოპრება.

საქართველოს დემეშათა სააგენტო. შესდგა ბათუმის რუსთა კრება. დაესწრო 250 კაცი. აირჩიეს ეროვნული საბჭო, რომელშიაც მასლოვი მოხვდა. კრებას ორი ქართველი, მუსულმანიც დაესწრო; სულემან ტაბახიძე და ალი უნაფარიძე. ისინი აჯარულთა სახელით კრებას რუსეთისადმი ერთგულებას ეფიცებოდნენ და რუსებთან დარჩენის სურვილს გამოთქვამდნენ. გამოირკვა, რომ ეს პირნი

მასლოვისაგან ყოფილიყვენ მოყვანილი, ვინაიდან მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ ერთი ამ აჯარულთა სახელით მოლაპარაკე, სახელდობრ ტაბახიძე, უკვე დანიშნული ყოფილიყო მასლოვის მიერ სასურსათო გამგეობის თავმჯდომარეთ. ეს ის ტაბახიძეა, რომელიც რევოლუციის დროს აღმასრულებელმა კომიტეტმა პროვოკაციისთვის დააპატიმრა და აუკრძალა ართვინის ოლქში ცხოვრება. საოლქო საბჭო თან-და-თან თამაშდება. იმის შემდეგ რაც ქალაქის საბჭოსაგან ღირსეული პასუხი მიიღო, ახლა იერში სასურსათო გამგეობაზე მიიტანა, მან შონილომა სასურსათო საქმეებში ჩარევა, სასურსათო გამგეობა ღირსეული პროტესტით შეხვდა. ასეთი საქციელი გამგეობისა საბჭომ დანაშაულათ ჩაუთვალა სასურსათო გამგეობას და სამსახურიდან დითხოვა მთელი შემადგენლობა მათ ნაცვლათ დანიშნულსულემან ტაბახიძე, დიკონოვი და ექიმი რადუგინი. გემთამოსელა გახშირდა, მოაქეთ საქონელი, როგორც გადასაცვლელათ ისე ნაღდ ფულზე გასაყიდათ. საოლქო საბჭომ დანიშნა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს გეგმა ბათუმის ოლქში ერობის შენარებისა კომისიის წევრებია ანისიმოვი; სულემან, ტაბახიძე და ალი უნათარძე.

უცხოეთის ამბები

ტელუგრაფები.

საქართველოს სააგენტოსი.

დემობილიზაცია ინგლისში.
დემობილიზაცია საქართველოში და წესიერათ სწარმოებს უკანასკნელ ორი კვირის განვლობაში ყოველ დღიურათ თავისუფლდებოდა 3,5000 კაცი. იმედი აქვთ ამ რიცხვს 40000—მდე გაზრდიან და 1918 წლის იანვრიდან ნამსახურთ მალე გაუშვებენ. ამ ცხრა თვის განმავლობაში საქართველოში მხოლოდ 900000 კაცისგან შემდგარი ჯარი, ჯარში დასტოვებენ მათ, გინც ცოტა ხანი მსახურობდა და სხვათა შორის ეხედვებოდა იქნება მიღებული მათი ეკონომიური მდგომარეობა. ფიქრობენ გაათავისუფლონ ყველა 25 წლის ზევით, დემობილიზაციის დასრულებამდე მოხალისეთაგან ჯარის შედგენა შეუძლებელია დატოვებულ ჯარისკაცთ. გაუდიდებენ ჯამაგირს.

ნორვეგიის მეზღვაურნი გერმანიის წინააღმდეგ.

ნორვეგიის მეზღვაურთა კავშირმა მოსთხოვა 800,000 მანეთი წყალ ქვეშ ნავების მიერ დაზოცილ ნორვეგიელ მეზღვაურის ოჯახების სასარგებლოთ. მეზღვაურებმა გადასწყვიტეს ფულის გადახდამდე გერმანიის საქონლის გადაზიდვა შესწყვიტონ.

ამერიკაში ემიგრაციის აღკრძალვა

შეერთებულ შტატის ქვედა პალატაში ვაშინგტონის საემიგრაციო კომიტეტმა მიიღო კანონი ზავის შეკერის შემდეგ 4 წლის განმავლობაში საერთო ემიგრაციის აღკრძალვის შესახებ.

ახალ შენების საკითხი ხაზავო კონფერენციაზე

საზავო კონფერენციამ განიხილა გერმანიის შერეულ აღმოსავლეთსა და დიდოკიანეს ახალ შენების საკითხი და აგრეთვე იმსჯელა ხალხთა ლიგის პრინციპების გარბორციელების შესახებ.

ინგლისის საოკუპაციო ჯარი

სამხედრო მდგომარეობის მოიხილვაში ჩერჩილი სწერს. ნოემბრის 11 დღობითი ზავის შეკერისას ინგლისს დაახლოვებით 3,500000 ოფიცერი და ჯარისკაცი ყავდა 750000 კაცი უკვე დითხოვეს. მრეწველობის გამოსაცოცხლებლად შემოღებული დემობილიზაციის სისტემა უმე-

ტეს ნაწილათ ძალაში შემოსულია. გაკირებებით მოპოებულ გამარჯვების ნაყოფის შესანარჩუნებლად, ჩვენ რაზოდენიმე თვით კიდევ უნდა დავტოვოთ შტრის ტერიტორიაზე საოკუპაციო ჯარები. ჯარის მთავარსარდლების აზრით 3,500000 კაცისგან იარაღის ქვეშ უნდა დარჩეს 900,000 კაცი, დანარჩენნი კი დითხოვენ მომავალში ჯარს შეადგენენ. 1918 წლამდე ჯარში გაუწყველთავენ, რომელნიც 7 უფროსნი არ არიან და 2—ზე მეტი ჭრილობა არ მიუღიათ. შემდეგში ჯარის ამ რიცხვსაც შეამციკებენ.

ინგლისში იძულებითი სამხედრო ბეგრადან დაქირავებულ ჯარზე გადასვლის საქმე გართულებულია. მთავრობა ჯამაგირს მოუწამტებს საოკუპაციო ჯარებს, რომელთაც იყოლიებენ სანამ მოხალისეთაგან შესდგებოდეს ჯარი. 10 თვის განმავლობაში ბრიტანის შეიარაღებულ ძალას მიწიშემადე დაოყენენ.

ოსმალეთში დარჩენილ გერმანელთა ბედი.
მოკავშირეთა წარმომადგენლებს გერმანიამ გაუზავნა ნოტა, სადაც სთხოვენ დართონ ნება ხმელთაშუა ზღვით გადაიყვანონ გვიღარბაში დარჩენილი გერმანელები. ნოტა აგრეთვე იუწყება, რომ დღემდე არ მიუღიათ წერილობითი პასუხი შავ ზღვაში დარჩენილ გერმანელ ჯარისკაცთა შესახებ.

შერიკული განჯან ბალტიზორსტონი.
შიმოხილვაში სწერს, რომ საზავო კონფერენციაზე ყველა პატარა ერი სტლილობს გამოიყენოს გერმანიის დამარცხება თავის ერის გასამდიდრებლად, პატარა ერების წარმომადგენელნი კომისიაში თხოულობენ მხოლოდ დაჯილდოებას და როგორც სჩანს, სხვა საკითხებს ისინი უურადღებს არ აქცევენ. არა თუ მარტო საფრანგეთი, ბელგია და სერბია მოითხოვენ გერმანიისაგან ზარალის ანაზღაურებას, ისეთი სახელმწიფოებიც კი, როგორცაა (გამოტოვებულია).

სერბიელების შესვლა ფიუმში.

სერბიელთა ბატალიონები იტალიელების მიერ დაცლილ ფიუმში შევიდენ. **სპარტაკელების გამოსვლა ვილნეში.** ვილნეში გამოსვლაში სპარტაკელთა მოძრაობა საფრთხით ჩააქრეს. ორშაბათს მოვიდენ კომუნისტები და დაიჭირეს საზოგადოებრივი დაწესებულებანი. დაიხურეს სახელმწიფო ბანკი, საიდანაც დატყუებით წაიღეს 40000 მარკა. კომუნისტებმა ეს ფული არ დაუბრუნეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და სახელმწიფო ბანკიდან 1000000 მარკა კიდევ გაიტაცეს. გატაცებული ფული მიიტანეს ტაუნენდგამის ყაზარმაში, სადაც სპარტაკელთა მთავარი ბანაკი იყო. მოლაპარაკების შემდეგ სპარტაკელები დათანხმდნენ, რომ ის ფული სახელმწიფო ბანკს დაუბრუნონ, მაგრამ როცა ფულის წასაღებათ ყაზარმისთან ჯარისკაცებთ ავტომობილი მოვიდა, სპარტაკელებმა მას სროლა აუტყვეს. ამის შემდეგ ყაზარმას ალყა შემოარტყეს და მის წინააღმდეგ ტყვიის მფრქვევლები და წვრილი სახლავო ზარბაზნები ამოქმედდნენ. ერთი საათის ბრძოლის შემდეგ სპარტაკელებმა ბანკს დაუბრუნეს ფული გარდა უკვე გატაცებულ ნაწილისა. შემდეგ, 4 საათის ბრძოლის შემდეგ, სპარტაკელებმა განაცხადეს, რომ ღამის 3 საათზე ისინი დანებდებიან. 500 ტყვეთ წამოიყვანეს, 7 მოკლულია. შემდეგ დღევში შესწყდა გაფიცვა და წესიერება ყველგან აღადგინეს. ქალაქის მოსამსახურეთა თხოვნით შესდგა თავდაცვის რაზმი.

ნაუნენი, იან. 29 ვილნეში მსაფენში სახელმწიფო დაწესებულებანი სპარტაკელებმა დაიჭირეს. ტელეფონი და ტელეგრაფი აღარ მუშაობს.

გერმანიისაგან ტყვეების გაყვანა.
გერმანიის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა გერმანიიდან ყველა სამხედრო ტყვეების 15 იანვრამდე გაყვანის აუცილებლობაზე.



პოლონეთის ავტარება გერმანელებში.
 დანტინგში პოლონელები კარ-და-კარ დადიან და ავტარების ეწევიან გერმანელებში და ცდილობენ მიიზიარონ ისინი. პოლონელები გაბედნიერებით პირდებიან გერმანელთ. თუ ისინი პოლონეთის სამეფოს შეუერთდებიან. მაგრამ ამათი ცდა უნაყოფო რჩება.

მოქალაქეებმა იციან, რომ პოლონეთის ახლანდელი ფინანსური მდგომარეობა მეტად უნუგეშოა და მასთან შეერთება მხოლოდ ექსპლოატაციას გამოიწვევს ალსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1912 წელში რეინსტაგის არჩევნების დროს პოლონელ კანდიდატებმა მიიღეს ყველა ხმების მხოლოდ 3 პროცენტი.

ბრძოლა გერმანელებსა და პოლონელთა შორის.

მოსაზღვრე რაზმებმა იერიშით აიღეს კულმზე. პოლონელების მხრით ბევრია მოკლული და დაჭრილი. გერმანელებში არ დაზარალებულან. ქალოქში საალყო წესები გამოცხადდა.

პოლონეთის მხეცობა.

ქ. ტურში იანვრის 22 პოლონელებმა კონდახის ცემით მოკლეს მოლაპარაკების დროს მე-14 ჭევითა პოლკის ლეიტენანტი, როგალა, რომელიც როგორც პარლამენტობრივი მათთან იყო გაგზავნილი. როგალა მძიმედ დაჭრილი შუბინის ლაზარეთში მიიყვანეს. მეორე დღეს ლაზარეთში მივიდა ერთი პოლონელი მეზღვაური, რომელმაც იკითხა, მოკვდა თუ არა ის დორო.

პოლონელების ცილისწამება.

ამას წინათ პოზნანიდან ვარშავაში გაგზავნეს დეპეშა თითქოს პოლონელების მძევლებს ავიწროებდნენ. პარიზში ვარშავიდან სისტემატიურათ იგზავნება რადიო დეპეშები პოზნანში პოლონელების დეპენის შესახებ. იანვრის 11 შუბინთან ბრძოლის შემდეგ ყველა ახალგაზრდა 14 წლიდან საქონლის ვაგონებით გაგზავნეს; ეს ახალგაზრდები დახოცეს. შუბინის აღების დროს გერმანელები თავზარდაცმულნი გარბოდნენ და სიანს ვერც მძევლების წაყვანას მოასწორებდნენ. გერმანელებს ტანთ გახადეს, ყველაფერი წაართვეს და გასცარცეს. პოლონელებმა წაიყვანეს 30 მძევალი და 200 საევიაციო რაზმის ოფიცერი და ჯარისკაცი, რომელთაც მხეცურათ ეპყრობიან. მათ ჩაუტყველეს ანუშაკებენ ყინვაში. პოლონელებმა კოლმარის სამხრეთით მდებარე ადგილები დაიპყრეს და თითო გერმანელს დღეში 8 მარკას ართმევდნ. ტანისამოსს ართმევდნ და პოზნანში გზავნიან. გერმანელთა ურმებს სცარცევენ.

მოკავშირეები და ფინანსები.

საფრანგეთის მთავრობამ მოიწონა ფინანსური ოფიციალური პოლიტიკური პროგრამა და სთხოვა მოკავშირეებს საბოლოოდ იცნონ ფინანსური დამოუკიდებლობა. ინგლისი დათანხმებულია.

ბრძოლა პუტლიურას და ბოლშევიკურ ჯარების შორის.

პავლოვრადი, იანვრის 22. მეამბოხებმა ხელთ იგდეს გერმანელების მიერ დანტინგის 400 ვაგონი პური და 70 ვაგონი შაქარი რომელიც საჩუქრათ გაეგზავნება წითელ მოსკოვს.

პოლტავა. იანვრის 22. პოლტავის აღების წინ მოხდა ახლო მახლო სოფლების გლეხთა აჯანყება. პოლტავა 3000 მეამბოხემ აიღო იანვრის 17. იანვრის 18 დამეკი პუტლიურას ჯარმა პოლტავა კონტრიერით უკან დაიბრუნა პუტლიურას ჯარის დასახმარებლათ გალიციის მსროლელნი მოვიდნენ, რომელთაც მაშინვე მოახდინეს ებრაელთა დარბევა თავზარდაცმული.

„კლდის“ ბიბლიოთეკა:

დასრულდა ნაწილები:
ბრიგოლ ვეშაპელ ს
„ნახ. - დემოკრასიული პარტია.“
დავით ვახნაძის

„მუღვივი ჯარი თუ“
სახალხო მილიცია“

მიხეილ მახაბელ ს
„მინის საპითნი“
შალ ვა შარხი ს

საგვითო სჯულის
სწავლების გაუქმება.

თითო წიგნის ფასი 15 შუბი.

საქართველოს გაუქმება და მინის მასაპირათა კავშირის საშუალო.

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიონისკის დაღმართი № 2, სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

ბათუმის ქართველთა

ეროვნული საბჭო ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიებს ორივე სქესისთვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოცხადებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიაში თავიანთი შვილები მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები:

1. სქესი მოსწავლისა.
2. რაოდენობა და
3. რომელ კლასში სურს შესვლა.

სწავლის უფლება იქნება არა უმეტეს იმისა, რაიც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში. მათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეიტანეს მეორე ნახევარი სწავლის ფულისა, ეს ფული დაუბრუნდებათ.

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო.

თფილისის ქალაქის საბჭოს არჩევნები

1919 წ. 2 თებერვალს დ. დის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე — შემდეგ ადგილებმა:

- 1-ე კომისარიატში
- 1 საარ. უბანი — ქართულ უნივერსიტეტის შენობაში.
 - 2 " " საბურთალოს თეატრში.
 - 3 " " ქალაქის პირველ დაწვებით სასწავლებელში, ოღლას ქუჩა ს.ს. მაჩაბლისა, № 52.
 - 4 " " პირველ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში.
 - 5 " " სამიწათშობლო სასწავლებელში, გუნიბის ქუჩაზე.
 - 6 " " მეოთხე ქალთა გიმნაზია, ანასტასიის ქ.
- 2-ე კომისარიატში
- 7 " " მინიატურის თეატრში, ს. მელიქ-აზარიანისა, ვერის დაღმ. არტისტულ საზოგადოების დარბაზში, გოლოვინის პრ.
 - 8 " " ლარბთა თავშესაფარში, ზუბალაშვილის სახლი, სისამართ. ქ.
 - 9 " " თფილისის საოლქო სასამართლოს შენობაში.
- 3-ე კომისარიატში
- 11 " " პირველ ქალთა გიმნაზიაში.
 - 12 " " სამოქალაქო სასწავლებელში, ს. აფრიაკინისა.
 - 13 " " საგაჭრო სასწავლებელში, სახლი მანთაშვილისა.
- 4-ე კომისარიატში
- 14 " " სახელოსნო გამეგობაში.
 - 15 " " მანთაშვილის ქარვასლაში, სომხის ბაზარი № 52.
 - 16 " " სომხების საქველმოქმედო საზოგადოების დარბაზში, აბასაბაღის მოედანზე.
- 5-ე კომისარიატში
- 17 " " შამშილიანთა აუდიტორიაში, ბოტანიკურ ქუჩაზე.
 - 18 " " პუშკინის ხეივანში სკოლაში, ვორონცოვის ქუჩაზე.
 - 19 " " ტოლდის ქარხნის კონტრაში, ვორონცოვის ქუჩაზე.
- 6-ე კომისარიატში
- 20 " " ნადეიდინის თავშესაფარის შენობაში, რეიტერის ქუჩაზე.
 - 21 " " ქალაქის ახალ სასკოლოს კანტარაში.
 - 22 " " მათა ტ. აბრამოვების ნავთის აბ. კანტარაში, კახეთის ქ.
 - 23 " " სამინისტროს სკოლაში, კახეთის ქ. № 46.
 - 24 " " მურაშკის თეატრში, თელავის ქუჩაზე.
 - 25 " " უარიელ ლუქანში, კახეთის ქუჩაზე, სიდაც იმყოფებოდა მოსამსახურეთა ეკონომ. საზოგადოების განყოფილება.
- 7-ე კომისარიატში
- 26 " " არაკიანის თეატრში.
 - 27 " " ავლაბრის გიმნაზიაში.
 - 28 " " უარიელ მალაზიაში. კუთხე დიანარგვისა და ხივის შეს. ს. მანუკიანისა № 57.
 - 29 " " მარინეს საეკლესიო სკოლაში.
 - 30 " " ავლაბრის კლუბის ზამთრის შენობაში, კახეთის ქუჩა.
- 8-ე კომისარიატში
- 31 " " ალტმანის სახლში, კუთხე პროექტიროვანის და კახეთის ქქ.
 - 32 " " მალაქების საზოგადოების სკოლაში, დესიმონოვის მოედ.
 - 33 " " მე-4 მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში.
 - 34 " " პირველ კომერციულ სასწავლებელში, 19 თებერვლის ქ.
- 9-ე კომისარიატში.
- 35 " " მეტრე დიდის სახელობის სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29.
 - 36 " " მუშათა კლუბში, ერთობის უბანი.
 - 37 " " მესამე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილ. ტურგენევის ქ.
 - 38 " " კათოლიკურ საეკლესიო სკოლაში, ნიკოლოზის ქუჩაზე.
 - 39 " " სახელოსნო კლუბის შენობაში, მიხეილის პრ.
- 10-ე კომისარიატში
- 40 " " ავტალის აუდიტორიაში.
 - 41 " " ვენფენჯიანის თამბაქოს ქარხნის კანტარაში, ვოვლის ქ.
 - 42 " " 2 ქართულ კლუბში (ყოფ. ხარფუხის კლუბი) მიხეილის პრ.
 - 43 " " ზუბალაშვილის სახელოსნო სახლში. კაროჩინი ქუჩაზე.
- 11-ე კომისარიატში
- 44 " " საკვირაო სკოლაში, კუთხე ჩერქეზიშვილისა და პავლოვსკ. ქ.
 - 45 " " სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა, ს. ბოტრესი.
 - 46 " " ნაძალადევის თეატრში, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე.
 - 47 " " სასურსათო ლუქანში ს. მეტეხელის.
- 12-ე კომისარიატში
- 48 " " რკინის გზის სამოქ. სასწავლებელში, შერემეტევის ქ. მხრით
 - 49 " " რკინის გზის სამოქალაქო სასწავლებელში.
 - 50 " " ყოფ. საჯირითო მოედნის კანტარა.
 - 51 " " ავტალის წყალ-სადენი.

მიიღება ხალის მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ დღიურ გაზეთ „სალი კლდე“-ზე.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი № 18—31.

კონტარა ქართულ ქარვასლაში, სახალის ქ. № 6.